კრიზისის სამოქალაქო მართვა

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის შესახებ

მოგესალმებით

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (ესმი) საქმიანობის ამსახველი ფოტოები. მოცემული ფოტოების მიზანია მისიის ყოველდღიური მრავალფეროვანი საქმიანობის ასახვა. ფოტოები მოიცავს, როგორც მისიის სწრაფი წარგზავნის (2008 წლის სექტემბერი), ასევე მისიის მუშაობის ოფიციალური დაწყებიდან (2008 წლის 1 ოქტომბერი) დღემდე არსებულ პერიოდს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა, რომელიც საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში მოქმედებს. მისია 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ხელშეკრულებების შესრულებაზე დაკვირვებისათვის შეიქმნა. აღნიშნულ ხელშეკრულებებს, რომლებმაც ომი დაასრულა, ხელი ევროკავშირის შუამდგომლობით მოეწერა. მისიის მანდატი ოთხ კომპონენტს სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას, ნდობის აღდგენას და ბრიუსელში ევროკავშირის პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურებისათვის ანგარიშების წარდგენას მოიცავს.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ვებ-გვერდზე (www.eumm.eu) განთავსებულ ანგარიშებთან, პრეს რელიზებთან და სხვა მასალებთან ერთად მოცემული ბროშურა დაგეხმარებათ მეტი გაიგოთ მისიის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, რომელიც ჩვენი გულმოდგინედ მომუშავე მისიის თანამშრომლების თვალით არის დანახული.

ჰანსიორგ ჰაბერი
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას გულთან ახლოს მიაქვს ომის შედეგად დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მდგომარეობა ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. მათ ჩვეულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაბრუნების პროცესზე დაკვირვება მისიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში გამოგზავნა ევროკავშირის მიერ აქამდე ყველაზე სწრაფად ორგანიზებული პროცესი იყო. მისიის მანდატის განსაზღვრიდან მხოლოდ ორ კვირაში, 2008 წლის 1 ოქტომბერს, 200-ზე მეტმა დამკვირვებელმა 22 წევრი ქვეყნიდან უშუალოდ დაიწყო საქმიანობა ადგილზე.

EUMM

მისიის თანამშრომლებს სამხედრო, საპოლიციო და სამოქალაქო სფეროებში მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ. პროფესიული უნარებისა და გამოცდილების შერწყმა უმნიშვნელოვანესია ეფექტიანი სამუშაოს შესასრულებლად.

406

MC

მისიის ერთ-ერთ პირველ ამოცანას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის მონიტორინგი და ამასთან დაკავშირებით ანგარიშების წარდგენა წარმოადგენდა, რის შედეგადაც 30,000 დევნილს საკუთარ სახლში დაბრუნების საშუალება მიეცა.

038

ადგილზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის, სადღეღამისო პატრულირებისა და თანამშრომლების მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილების წყალობით, მისიას შეუძლია მუდმივად და დროულად შეაგროვოს ინფორმაცია ადგილზე მიმდინარე მოვლენების შესახებ.

STOP

მიუხედავად იმისა, რომ არსებული მანდატი მისიას საშუალებას აძლევს მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, განახორციელოს, მისიისათვის ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შესვლის შეუძლებლობა წარმოადგენს.

ამისდა მიუხედავად, მისიამ მხარეებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება შეძლო და ამასთან, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ყველა მხარეს შორის თანამშრომლობას შეუწყო ხელი. მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების გაუმჯობესება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე საქართველოს სამხედრო და საპოლიციო ძალების განლაგების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გააფორმა. მემორანდუმების თანახმად, საქართველოს ხელისუფლება მგრძნობიარე რეგიონებში სამხედრო ძალების რაოდენობის შემცირებას ცალმხრივად დათანმხდა. მისია ამ ორი შეთანხმების განხორციელების მონიტორინგს აგრძელებს.

EUMM
EUMM

EUMM

მანდატით გათვალისწინებული ნორმალიზაციის კუთხით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული საკითხების მონიტორინგს ახორციელებს, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ პირობებზე დაკვირვებასაც მოიცავს.

ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი ურთიერთობა მისიის საქმიანობის წამყვან ასპექტს წარმოადგენს. ყოველდღიური პატრულირებისას დამკვირვებლები ესაუბრებიან ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისმენენ მოსახლეობის პრობლემებს, მოსაზრებებს და გულის ტკივილს და საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციას საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს აწვდიან.

ჩვენი სტრატეგიის არსი ადგილზე განვითარებულ მოვლენებზე ბრიუსელში ევროკავშირისათვის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაა, რაც დაძაბულობის შემცირებას და მოსალოდნელი ინციდენტების პრევენციას უწყობს ხელს.

EUMM

შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ქართველ, რუს, აფხაზ და ოს მონაწილეებს და ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხების განხილვის შესაძლებლობას სთავაზობს. ძირითადი ყურადღება მიმართულია ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ უსაფრთხოების მდგომარეობისა და ორივე მხარის ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მონიტორინგზე.

EUMM

ჟენევის მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმების საფუძველზე, შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე იმართება.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების ყველა მონაწილის დამაკავშირებელი „ცხელი ხაზის“ სისტემა ინფორმაციის დაუყოვნებელი გაცვლის საშუალებას იძლევა, რაც შესაძლო დაძაბულობას და დესტაბილიზაციის ალბათობას ამცირებს.

CD
EUMM
EUMM 040
MILE MARKER

ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიური დიალოგის გარდა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ასევე ორგანიზებას უწევს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ფოტო კონკურსები, ფილმების ჩვენება, სემინარები, სადისკუსიო ფორუმები და ასევე

ღონისძიებებს. მისია ავრცელებს საინფორმაციო მასალებს, როგორიცაა ბროშურები და პლაკატები, ატარებს პრეზენტაციებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში. მისია ადამიანის უფლებების დაცვის და ევროკავშირის დღეების აღნიშვნა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობას ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა შორის ნდობის აღდგენა სტაბილურობისა და უსაფრთხოების მყარი გარანტია და ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაზრდილი დაცულობის შეგრძნების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

2010 წლის ნოემბერი. მეორე გამოცემა

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

კრწანისის რეზიდენცია
კრწანისის ქუჩა №49
0114 თბილისი, საქართველო

ვებ-გვერდი: **www.eumm.eu**
ელ.ფოსტა: **press@eumm.eu**
ფაქსი: **+995 32 24 37 18**

ფოტოსურათები გადაღებულია ხელოვნურ ვითარებაში ან ეკონომიურად
ხელმისაწვდომი მასალიდან. ასევე გამოყენებულია ეკონომიურად
ხელმისაწვდომი მასალა ფოტოარქივი.